



საქართველო

საპარტიველოს სახალხო ფრონტი
ქოველკვირული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
ბამოდიოდა 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 33 (1319)

21-28 აპრილი, 1992 წ.

საპარტიველოს სახალხო ფრონტი ბატონი ივანე ჯავახიშვილი საპარტიველოს თავმჯდომარის ბატონი თენგიზ კიტოვანი

ბატონო თავმჯდომარე, ბატონო მინისტრო, მოგესალმებით, საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლა „სულ ცოტა“, 2400 წლის წინ დაიწყო.

ფარნავაზის შემდგომ „არღარა იზრახებოდა“ სხვათაგან ქართველი და ენა ქართული... ათასწლეულის წინ ჩვენი დიდი წინაპარი ამაყად აცხადებდა, რომ „ქართლად ფრიალი ქუეყანა აღირიცხების, რომელსაც შინა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი ქართულთა ენითა აღესრულებს“-ო და ის ფრიალი ქვეყნები, რომლის მცხოვრებთა დედა ენა, ლოცვის ენა, დემოტთან სალაპარაკო ენა ქართული იყო, გახლდათ მესხეთი თუ აფხაზეთი, ქართლი თუ ჰერეთი და სხვა კუთხენი საქართველოსი.

ისტორიულმა ძნელებლობამ ქართველ კაცს მრავალჯერ დააჭირვა ცეცხლითა და მახვილითაც ებრძოლა ერის, სახელმწიფოს მთლიანობისათვის, ებრძოლა შინაური თუ გარეშე მტრების წინააღმდეგ. მთელი ერის თავგამოდებული ბრძოლის უკანასკნელი აკორდო იყო 1924 წლის აგვისტოა აჯანყება.

მას შემდეგ ქართველი, დიდი მარტვილი შემდრკალი, თანდათან საღათას ძილს მიეცა და სამშობლოსათვის თავგანწირვის აქტს მხოლოდ ცალკეულ პირთა „მონოპოლიად“ იქცა...

ბოლშევიკური რეჟიმის დროს ქართველი ერი, უკეთეს შემთხვევაში, ცხოვრობდა პრინციპულად...

„სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება...“

მაგრამ სამშობლოს ნაკუწ-ნაკუწ გველგდნენ და განმკითხავი არავინ იყო იარაღად, დამონებულ საქართველოში.

და ეს გრძელდებოდა დღემდე.

აფხაზეთა ერთმა ჯგუფმა — ავანტიურისტ-სეპარატისტებმა არმინბას მეთაურობით „ყოჩაღად“ გამოუცხადა მთელს საქართველოს, რომ აფხაზეთი, ივერთა მიწა-წყლის საუკეთესო ნაწილი, თურმე ჩვენი აღარ

არის... და, აი, შეურაცხყოფილ ქართველს იმ აზრთან ერთად — „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება“, — „გახსენდა“, ესეც ეთქვა —

„თორემ ისეთ დღეს დავაფრით, მკვდარსაც კი გაეცინება“-ო!

ბატონო ივანე, ბატონო თენგიზ, თუ საქართველოს მტერთა მიმართ აფხაზეთში ეს ფრაზა დღეს ლიტონ სიტყვებად აღარ ჟღერს, ამაში დიდი თქვენი და კიდევ სხვათა წვლილი, რისთვისაც მადლობას გწირავთ.

ახლა კი ჩვენი მომართვის ძირითადი მიზნის შესახებ მოგესალმებით, არცერთ თავმოყვარე ქვეყანაში არ იყო დაკანონებული საომარი ვითარების ჟამს ე.წ. „ბრონირებულ“ და „არაბრონირებულ“ მოქალაქეთა არსებობა.

ასე მაგალითად, მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს ერთი უდიდესი მეცნიერი (ცხადია, არა სსრკ-დან), რომელიც ომში შეიწირა. ამ მეცნიერის სიცოცხლე პრაგმატისტული თვალსაზრისით უფრო გამოადგებოდა თავის ქვეყანას, ვიდრე მისი თავგანწირვა ბრძოლის ველზე, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით არის ასე.

სამშობლოსათვის ბრძოლაში არავინ არავის ნაცვლად არ უნდა მოკვდეს, ყველა მამაკაცმა თავისი წილი ვალი უნდა მოიხადოს. ერს ამდაგვარი თვითშეგნება ისევე წასწვევს წინ, როგორც განსაცვიფრებელი აღმოჩენები მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში.

სავალდებულოდ სასიცოცხლო მორალური კატეგორიები ისევე ვერ უნდა ითავსებდეს გამონაკლისს, როგორც სიკვდილი არ სცნობს ამ უკანასკნელს.

ერთადერთი ქვეყანა, სადაც „ბრონირებულთა“ კასტა არსებობდა, იყო უკუღმართი სსრკ (შესაძლოა სხვაც, მაგრამ უცვლელად უკუღმართი ქვეყანა).

ერთადერთი ქვეყანა, სადაც არსებობდა, იყო უკუღმართი სსრკ (შესაძლოა სხვაც, მაგრამ უცვლელად უკუღმართი ქვეყანა).

აღბათ მიგვიხვდით, რისთვისაც იწერება ყოველივე ეს. საქართველოს მუქარას-მუქარაზე უთვლიან ე.წ. მთიელ ხალხთა კონფედერაციიდან

და ქართველი ერის კანონიერი უფლებების ჩახშობას ცდილობენ შეიარაღებული ძალების შემოყვანით.

თუ ეს ფაქტი მართლაც მოხდა, გთხოვთ ჩავვიციტოთ საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში, რათა საკუთარი სისხლის გაღებით და არა მელნის ხარჯვით, დავიცვათ მამულის ღირსება.

გაზეთის გამოშვებას მანდილოსნებიც მოახერხებენ.

გვესმის, რომ ამის ხმამაღლა გაცხადება ერთგვარ თავმოწონებას ჰგავს, მაგრამ მაინც ვაკეთებთ ამას ორი მიზეზის გამო:

1) ჩვენს განაცხადს, დარწმუნებულნი ვართ, შემოუერთდებიან სხვა ყურნალისტები და ხელოვნების ახალგაზრდა მუშაკები, მეცნიერები, რის შემდეგაც ერთი მშვენიერი პოლკი თუ არა ბატალიონი მაინც ჩამოყალიბდება.

2) ამ ფაქტის შემხედვარე მთელი მსოფლიო ირწმუნებს, რომ ის, რაც აფხაზეთში ხდება, ხელისუფლების ან სამხედრო პირთა ამბიციების გამოხატულება კი არა, მთელი ერის კანონიერი უფლებებისათვის ბრძოლაა!

დაბოლოს, თუ მაინც თავმოწონებაში ჩამოგვართმევს ვინმე ამ მომართვას, დაე ჩამოგვართვან, სამშობლოსათვის მსხვერპლად გაღების მზადყოფნაში თავმოწონება სჯობია, ყოველგვარ თავმოწონებას.

პატივისცემით

გაზეთ „საპარტიველო“
თანაშრომელია:
ნოდარ ბრიგალაშვილი
მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, ჟურნალისტთა კავშირის წევრი

ფელიქს კოშიაშვილი
ჟურნალისტთა კავშირის წევრი

კობა ლიპლიკაძე

მიხო მოსულიშვილი
მწერალთა კავშირის წევრი, ჟურნალისტთა კავშირის წევრი

ლევან ნათაქაძე
ჟურნალისტთა კავშირის წევრი

სერგო ჯანაშია

დღეს ნომერი:

17 აგვისტოს თანამდებობიდან გადადგომის განცხადებით გამოვიდა საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი ირაკლი ბათიაშვილი.

ამ ნაბიჯის ზნეობრივი შინაარსისადმი მიძღვნილ ფელიქს კოშიაშვილის წერილს

**ზნეობრივი განცხადება
ზნეობის დაფიქსირების ჟამს
წაიკითხავთ მე-3 გვერდზე.**

„... მათ უნდოდათ დემოკრატიული დივერსია საქართველოს წინააღმდეგ, კერძოდ, საქართველოში იმ ოსი მოსახლეობის შემოყვანა, რომელიც ცხოვრობს 1944 წლის გასახლების შემდეგ ოსეთისათვის („ჩრდილოეთ ოსეთისათვის“) მიცემულ ქისტეთის ტერიტორიაზე.“ —

ალნი შნავს ნოდარ ნათაქაძე მე-4 გვერდზე დაბეჭდილ წერილში

სიღმეოს ფრდა მდგმა.

ხალხისა და მასის, მასისა და პიროვნების, მასისა და ბრბოს ურთიერთმიმართების საკითხებს ეხება მანტანბ პრემიაშიველი წერილი

ხალხი და მასა

რომელსაც გაეცნობით მე-4-5 გვერდებზე.

„... საკუთარ თავთან განმარტოებისას, სულზე, მაღალ მატერიებზე, საქვეყნო საქმეებზე ფიქრისას, იმედიან, პოლიტიკური, ეკონომიკური და ზნეობრივი კრიზისიდან ჩვენი ქვეყნის გამოხსნის გზაც გამოიჩინება“ —

ასკენის აპოკალიფიკური პოეზიაშიველი მე-6 გვერდზე დაბეჭდილ წერილში

„ნებათაუბრი მოკალი“

საქართველოს სახალხო ფრონტი

სამხრეთში სამოქმედო კალენდრი მოქმედებაში

უცხოეთში...

მიმე სიტყვა, რომელიც ამ მრავალწერტილს უნდა მოსდევდეს, ძნელი მისახვედრი არაა. რა ვუწოდოთ საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან ჩვენსავე ტერიტორიაზე მოქმედი „შერეული ძალების“ გაერთიანებული სარდლობის ერთ-ერთი წევრის (დანარჩენი ორი რუსი და ოსი), გენერალ გიორგაძის ხელმოწერას ქვემოთწარმოდგენილ ტექსტზე, რომელშიც მოსახლეობას მიმართავენ როგორც „სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მაცხოვრებლებს“ და ქალაქი „ცხინვალი“ იხსენიება როგორც „გოროდ ცხინვალი“ ბატონი გენერალი ვალდებულებას ბრძანდება მოეხსენებოდეს, რომ, მისი ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, არ არსებობს (და არასოდეს აღარ იარსებებს) არავითარი „სამხრეთ ოსეთი“ და ქალაქის სახელია „ცხინვალი“ და არა „ცხინვალი“. მე დიდად პატივს ვცემ ბატონ გენერალ გიორგაძეს იმ რამდენიმე შეხვედრის საფუძველზე, რაც მასთან მქონდა. მით უფრო მიკვირს მისგან სახელმწიფოს ისეთი ინტერესის დათმობა, რომლის დაცვაც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ჰმართებს როგორც ჯარისკაცს, ისე მოქალაქეს, ეროვნულ, ქვეყნის ტერიტორიის არა მხოლოდ ფაქტობრივი არამედ აგრეთვე იურიდიული და სიტყვიერი ხელშეუხებლობის ინტერესისა.

ნოდარ ნათაძე

ОБРАЩЕНИЕ

объединенного военного командования смешанными силами по поддержанию мира и правопорядка к грузинскому и

ოსეთისკო მასწავლებლებს, проживающим на территории Южной Осетии и представителям органов власти на местах

Во исполнение решения Смешанной контрольной комиссии от 7 августа 1992 года об организации добровольной сдачи населением, проживающим в регионе конфликта, имеющегося незарегистрированного оружия и боеприпасов, Объединенное военное командование постановляет: в период с 15 августа по 25 августа сего года включительно, осуществить прием от населения добровольно сдаваемого незарегистрированного огнестрельного оружия и боеприпасов.

Объединенное военное командование обращается к грузинскому и осетинскому населению с настоятельным требованием о добровольной сдаче имеющегося на руках незарегистрированного огнестрельного оружия и боеприпасов в указанные сроки.

Объединенное военное командование обращается также к представителям органов власти на местах, работникам правоохранительных органов с просьбой провести с населением соответствующую разъяснительную работу и принять со своей стороны все возможные меры для безусловной добровольной сдачи населением незарегистрированного огнестрельного оружия и боеприпасов.

Прием оружия от населения будет осуществляться службой военичного коменданта г. Цхинвала в помещении Комендатуры (г. Цхинвал, ул. Привокзальная, здание контрольно-пропускного пункта бывшего саперного полка).

Для граждан, проживающих в сельской местности, прием оружия будет осуществляться сторожевыми заставами миротворческих сил. Сданные в добровольном порядке населением огнестрельное оружие и боеприпасы будут переданы на хранение местным органам власти.

Граждане, явившиеся в период с 15 августа по 25 августа 1992 г. в указанные пункты и добровольно сдавшие имеющееся у них незарегистрированное огнестрельное оружие, освобождаются от уголовной ответственности за незаконное хранение и ношение оружия.

По истечении 10 дневного срока, определенного для добровольной сдачи населением незарегистрированного огнестрельного оружия и боеприпасов, лица уклонившиеся от добровольной сдачи оружия, будут задерживаться и привлекаться к уголовной ответственности в соответствии с Законом.

Генерал-полковник
Г. Филатов
Генерал-майор
П. Георгалдзе
Генерал-майор
С. Суанов

საიღუმელოს ფარდა ეხდება

კარგა ხანია, გულუბრყვილო საზოგადოებას აკვირებს ის ჯუღტი გულმოდგინება, რომლითაც რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იმეორებენ და იმეორებენ საქართველოდან „ლტოლოვლ“ ოსთა ფანტასტიკურ ციფრებს — 80 ათასი, 100 ათასი, 120 ათასი, 130 ათასი — თუმცა საქართველოს შრომის სამინისტრომ დიდი ხანია დაინაგარიშა, რომ საქართველოდან კონფლიქტის მანძილზე გასულ (და არა მხოლოდ ლტოლოვილ) ოსთა რაოდენობა 23 ათასიდან 28 ათასამდეა. ამ რიცხვში შედის ის შეიდასი ოჯახიც, რომლებმაც ბინები და სახლები გადაუცვალეს ვლადიკავკასელ ქართველებს, და ისინიც, ვინც სახლები კი არ მიატოვა, არამედ გაყიდა. უფრო ჩახედულნი იმთავითვე მიხვდნენ, რა უნდოდათ ამ ფანტასტიკური ციფრების შემთხვევებს: მათ უნდოდათ დემოგრაფიული დივერსია საქართველოს წინააღმდეგ, კერძოდ, საქართველოში იმ ოსი მოსახლეობის შემოყვანა, რომელიც ცხოვრობს 1944 წლის გასახლების შემდეგ ოსეთისათვის („ჩრდილოეთ ოსეთისათვის“) მიცემულ ქისტეთის ტერიტორიაზე, რაც, ცხინვალის

რეგიონიდან ქართველობის გამრავლების შემდეგ, აქ მჭიდრო ოსურ მოსახლეობას შექმნის. ამ ვარაუდის სისწორის აღსტურებს, სხვათა შორის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგის სოლტან ძარასოვის წერილიც თემაზე „კონფლიქტის ანატომია“ (კრებული „И кровь и печаль“, М. 1991, стр. 24), სადაც ვკითხულობთ: „ჩვენებისა და ინგუშების გასახლების შემდეგ ადგილობრივი ქართველი ხელისუფალი — რა თქმა უნდა, მოსკოვთან შეთანხმებით — შეუდგნენ მათ ადგილზე ოსების გადასახლებას სამხრეთ ოსეთიდან. ისინი დღესაც იქ ცხოვრობენ, ოსურ-ინგუშურ კონფლიქტში ჩაბმულნი“.

დღეს „ლტოლოვლების“ ეს მასა მოედინება როკის გვირაბით საქართველოში. მას არაფერ აკონტროლებს: არავინ ეკითხება, საქართველოში მომსვლელებს ქართული პასპორტი გაქვთ თუ არაო. დღეს ცხინვალი მჭიდროდ დასახლებული, მშვიდი, ქართველებისაგან გაწმენდილი ქალაქია.

ამ დემოკრატიული თაღლითობისა და დემოგრაფიული აგრესიის აღსაკვეთად აუცილებელია:

- ა) საქართველოს ხელისუფლებამ მიმართოს ოფიციალურად რუსეთის ხელისუფლებას და გაეროს;
- ბ) განხორციელდეს საქართველოს ხელისუფლების კონტროლი საქართველოში შემოსვლელებზე;
- გ) გამოქვეყნდეს საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური განცხადება, რომ დღეს საქართველოში, უკანონოდ შემოსვლული პირნი გუგასხლდებიან საქართველოდან განურჩევლად იმისა, თუ როდის მოხდება მათ მერე იმიგრაციის დადგენილი პროცედურის დარღვევის აღმოჩენა შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ.

ვეოცე საუკუნე აღინიშნა მასების გააქტიურებით, მათი გავლენის ზრდით საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. ყველაფერი — შრომის, დასვენების, კულტურის და სხვა ადგილებში შეიმჩნევა მასების სიჭარბე. ისინი ჯგუფებად მოქმედებენ და ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ მოვლენათა მსვლელობაზე. არ არსებობს არც ერთი დარგი, რომელიც მათი განსჯისა და ზემოქმედების ობიექტი არ იქნებოდეს: პოლიტიკა თუ ეკონომიკა, მეცნიერება თუ ხელოვნება, ზნეობა თუ რელიგია და ა.შ. განხდა მათი ყურადღებისა და ინტერესის საგანი. მასობრივმა ცნობიერებამ, რომელიც ხშირად გადადის მასობრივ ფსიქოზში, გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა და დაწინაურდა პიროვნება. მასების ამგვარ აზირობებს ესპანელმა ფილოსოფოსმა ორტეგა-ი-გასეტემ მასების ამბოხი უწოდა და მიიჩნია ევროპული ცივილიზაციის კრიზისის ძირითად მიზეზად.

ცხადია, მასები ადრეც არსებობდნენ და მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ ორტეგა-ი-გასეტემ ხაზი გაუსვა მათ თვისებრივად ახალ მდგომარეობას. წარსულში მასებმა იცოდნენ თავიანთი ადგილი და როლი, რადგან ემორჩილებოდნენ უმცირესობას, ამჟამად კი ისინი უშუალოდ და უხეშად ერევიან უმცირესობის საქმიანობაში, ავიწროებენ მას და ცდილობენ მასზე გაბატონებას. ესპანელი ფილოსოფოსის მოხდენილი შედარებით, მასები თავს უფლებას აძლევენ სახელმწიფო კანონად აქციონ თავიანთი საუბრები კავშირში. იგი თვლის, რომ ისტორიაში ჯერ არ არსებულა ეპოქა, როდესაც მასები ასე აშკარად და უხეშად ბატონობდნენ, როგორც დღეს. კლასიკური დემოკრატიის პირობებში უმცირესობა საზოგადოებას მართავდა ლიბერალიზმის პრინციპებსა და კანონებზე დაყრდნობით. დემოკრატია განუყრელი იყო კანონისაგან. დღეს კი მასები მოქმედებენ უშუალოდ, კანონის გვერდის ავლით, რითაც საზოგადოებას თავს ახვევენ თავიანთ ნებასა და გემოვნებას. ამგვარ ვითარებას ორტეგა-ი-გასეტემ პაპირდემოკრატია უწოდა.

არც საქართველო გადაურჩა აღნიშნულ დინებას. იგი ამ ფერხულში ჩაება უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში და ეს გასაკვირია: როდესაც შესუსტდა დიქტატურის მარწყუები და დაიწყო დემოკრატიზაციის პროცესი, ამან გაათავისუფლა მასა, რასაც შედეგად მოჰყვა მისი ენერჯის აზირობა. მაგრამ ძირითადად ეს მოხდა პოლიტიკის სფეროში. დამოუკიდებლად სქესისა და ასაკისა — ყველა პოლიტიკურ მოღვაწეობაში იქნა ჩაართული. ისინი კამათობენ, დავობენ, იბრძვიან, ილანძვებიან და ა.შ. ყოველი მათგანი თვლის, რომ მხოლოდ ისაა მართალი და მისი ოპონენტი ცდება. მოხდა მასის პოლიტიზირება, რამაც ასახვა პოვეა მის ცივილიზაციაში. წინა პლანზე წამოვიდა პოლიტიკის საკითხები და

უკანა პლანზე გადაინაცვლა ყველა დანარჩენი. კამათობენ არა მხოლოდ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, არამედ ქუჩებსა და ოჯახებში. განხეთქილებამ და დამირისპირებამ ტრიალური ხასიათი მიიღო.

ცხადია, ინტელიგენცია არ დარჩენილა გულგრილი აღნიშნული მოვლენის მიმართ. მან სცადა მისი შეფასება, რაც ბუნებრივი არ არის და არც უნდა ყოფილიყო ერთგვაროვანი. ზოგმა დადებითად, ზოგამც უარყოფითად შეფასა იგი. ამჟამად ჩვენ არ ვაპირებთ ამ საკითხის ყოველმხრივ ანალიზს, გვინდა შევხებით მხოლოდ ერთ მომენტს, კერძოდ შევხედვით: ამ დავის დროს ხშირად ხდება ხალხის და მასის, ჩვენს შემთხვევაში, ქართველი ხალხის და მასის გაიგივება. მასა ანუ ხალხი — ამტკიცებს ზოგიერთი ავტორი.

ა.შ. ამ შემთხვევაში მათ აერთიანებთ არა ერთი სახელმწიფო ქვეყნადმოშობა, არამედ ეროვნული ნიშნები: ენა, სამშობლო, კულტურა და სხვა. აქ ხალხი იგივეა, რაც ერი. მაგრამ საზოგადოდ ემთხვევიან თუ არა ისინი ერთმანეთს, ეს ცალკე საკითხია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მათი გაიგივება არ არის სწორი, რადგან ერი უფრო მყარია ერთობაა, ვიდრე ხალხი. ამ განსხვავებას ჩვენთვის ამჟამად არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ამიტომ ხალხის ცნებას ვაიგივებთ ერის ცნებასთან. შემდგომი ბჭობისას სწორედ ამ აზრით მოვიხმართ მას.

როგორ ხდება ხალხის, ე.ი. ერის ჩამოყალიბება? ზოგიერთი ხალხს აიგივებს ეთნოსთან, რაც არასწორია. ეთნოსი ბოლომდე არაა ჯგუფი. ხალხის ჩამოყალიბება მიმდინარეობს სხვადასხვა

მის საფუძველი იყო სახელმწიფო, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა რასის წარმომადგენლებმა შექმნეს ერთი ერი.

ამგვარად, ხალხი არც სოციალური და არც ეთნიკური კატეგორიაა. იგი ისტორიული ფენომენია და ახასიათებს ეროვნულობა.

მასა და პიროვნება

მასა არც ეთნიკური და არც ისტორიული ერთობაა. იგი გარკვეული ტიპის ადამიანთა სიმრავლეა. თუ მას რაოდენობრივად დავახასიათებთ, მაშინ იგი საზოგადოების უმრავლესობაა. თვისებრივი მახასიათებლის მიხედვით კი — იგი გამოხატავს ადამიანის საშუალო დონეს. ეს არის ადამიანი მის ყოველდღიურებაში, რომელსაც არა აქვს თავისი „მე“. მას დაკარგული აქვს ინდივიდუალობა და პიროვნულობა. მასის ყოველი წარმომადგენელი ერთმანეთს ჰგავს, რადგან არსებითად ერთნაირად აზროვნებს და მოქმედებს; მასა არ არის ცალკეულ ადამიანთა ჯამი. იგი საშუალოა, უსახობა და უპიროვნობაა. ეს ის ადამიანია, რომელიც გერმანელმა ფილოსოფოსმა ჰაიდელბერგმა აღნიშნა სიტყვით „მან“-ი (MАН). მან-ი გერმანულ ენაში არის განუსაზღვრელი პირის ნაცვალსახელი; იგი გამოთქვამს ისეთ მოქმედებას, როდესაც გაურკვეველია თუ ვინ ასრულებს მას. მაგალითად, „ამბობენ“. ან „წერენ“, მაგრამ არ არის დადგენილი, თუ ვინ ამბობს ან წერს. მან-ი ისეთი ადამიანია, რომელიც განუსაზღვრელია, განურჩეველია სხვებისაგან. იგი უხსტად ისეთია, როგორც ყველა სხვა. მასაში ყველა საშუალოა, რადგან განსხვავებანი ნიველირებულია და დაყვანილია საერთო მახასიათებლებზე.

ვინ არის პიროვნება? პიროვნება ინდივიდია, მაგრამ არა ყოველი ინდივიდი. იგი ისეთი ინდივიდია, რომელიც სხვებისაგან გამოირჩევა თავისი ცნობიერებით და თვითცნობიერებით, ნიჭით და უნარებით. იგი მკვეთრად გამოირჩეული ინდივიდუალობაა, რომელსაც თვითმყოფადი და დამოუკიდებელი სახე აქვს. მაგალითად, ილია და აკაკი, ივანე ჯავახიშვილი და ექვთიმე თაყაი შვილი. მათ სხვებისაგან გამოირჩეული, სრულიად დამოუკიდებელი ადგილი დამიკვიდრეს საზოგადოებაში თავიანთი აზროვნებით და მოღვაწეობით.

როგორც ვხედავთ, მასას და პიროვნებას ურთიერთსაპირისპირო ნიშნები ახასიათებს, ამიტომ ისინი ერთმანეთს გამოირჩევიან. მასა პიროვნებისაგან არ შედგება, ხოლო პიროვნება მასას არ მიეკუთვნება. პიროვნული სწორედ იმგვარად ადამიანთა სიმრავლეა, სადაც პიროვნებები არ არსებობენ; მეორე კი ისეთ ინდივიდებს მოიცავს, რომლებიც მასისაგან გამოყოფილი და გამოირჩეულია.

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ მასა მშრომელ-



მათი აზრით, ვინც მასას და მის ცნობიერებას უარყოფითად ახასიათებს, თითქოს ამით ამცირებს და შეურაცხყოფს ქართველ ხალხს. ჩვენი წერილის დანიშნულებაა აჩვენოს ამგვარი ბჭობის უსაფუძვლობა. ამ მიზნით განვიმარტოთ ცნებები: „ხალხი“ და „მასა“, „ბრბო“ და „პიროვნება“.

ხ ა ლ ხ ი .

ხალხი ისტორიული და არა სოციალური ერთობაა. მისი ფორმირება ხდება თანდათანობით ისტორიული ცვლადობების პროცესში და არა სოციალური საქმიანობის მიხედვით.

ხალხის ცნება ძირითადად ორი აზრით იხმარება: 1) იგი აღნიშნავს რომელიმე სახელმწიფოს ფარგლებში მცხოვრებ მოსახლეობას. მაგალითად, საქართველოს ხალხი. იგი მოიცავს ყველა იმ მოქალაქეს, რომელიც მუდმივად ცხოვრობს და საქმიანობს საქართველოს ტერიტორიაზე. ეს არის ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი და სხვა. მათ აერთიანებთ არა ერთობა, არამედ საქართველოს როგორც სახელმწიფოს მოქალაქეობა (ქვეყნადმოშობა). 2) იგი აღნიშნავს ეროვნულობას. მაგალითად, ქართველი ხალხი, რუსი ხალხი, გერმანელი ხალხი და

ეთნიკური ჯგუფის ან ტომის შერწყმის ბაზაზე. ეთნოსი გულისხმობს ადამიანთა ჯგუფის ერთი ძირიდან წარმომავლობას, მას სისხლით ნათესაობა უდევს საფუძველად. ხალხის წარმოშობას კი არ განსაზღვრავს ბიოლოგიური ერთობა. იგი სხვადასხვა ეთნოსის დაახლოების, გაერთიანების ან აღრევის შედეგია. ქართველი ხალხის ჩამოყალიბება მოხდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის გაერთიანების საფუძველზე. ეს იყო ხანგრძლივი ისტორიული პროცესი, რომლის დროსაც განხორციელდა მათი დაახლოება და ერთ ერად ჩამოყალიბება. თანამედროვე ევროპული ერებში — ფრანგების, ინგლისელების, გერმანელების, იტალიელებისა და ესპანელების წარმოშობა მოხდა ბარბაროსული ენობრივების აღრევის რომაელებთან. ისინი სრულიად განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებს მიეკუთვნებიან, ამიტომ მათ უფრო ერთობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ეთნიკური ხალხი შეიძლება შედგებოდეს სხვადასხვა რასის წარმომადგენლებისაგან. მაგალითად, ამერიკელი ხალხი მოიცავს როგორც თეთრკანიანებს, ისე შავკანიანებს. ევროპელი და აფრიკელი წარმოშობის ადამიანებმა შექმნეს ერთი ერი. ცხადია, რომ მისი ჩამოყალიბების ძირი არც სისხლით ნათესაობასა და არც ეთნიკურ ერთობაშიაშია საძირკველი. აქ გაერთიანე-

ბია, ხოლო პიროვნება ინტელიგენტები. თითქოს პირველს მიეკუთვნება ფიზიკური შრომით და-
კავებული ადამიანები, მაგალითად, მუშები და
გლეხები, ხოლო მეორეს — მეცნიერებისა და
კულტურის მოღვაწეები. ამგვარი შეხედულება
არასწორია, მასის და პიროვნების გამოჩენა ხდე-
ბა არა ადამიანთა სოციალური საქმიანობის,
არამედ ტიპის მიხედვით: რომელ ტიპს — საშუ-
ალოს თუ აღმატებულს მიეკუთვნება ადამიანი
თავისი კულტურული განვითარების დონის,
ცხოვრებისეული პოზიციის და ინდივიდუალურ
ნიჭის მიხედვით? თუ ადამიანი არაფრით გა-
ნსხვავდება უმრავლესობისაგან, ე.ი. საშუალო
დონისაა, მაშინ მასის მიეკუთვნება, ხოლო თუ
იგი საშუალო დონეზე აღმატებულია, ე.ი. უმრავ-
ლესობისაგან გამოირჩევა, მაშინ პიროვნე-
ბაა. ეს განსხვავება არ არის დამოკიდებული
სოციალურ ფენაზე. გლეხების ან მუშების უმრავ-
ლესობა მასაა. მაგრამ მათ შორის მოიძებნებიან
ისეთებიც, რომლებიც სხვებისაგან გამოიყოფიან
თავიანთი უნარით, საზოგადოებრივი აქტიურობ-
ით და კულტურის დონით. ასეთი მუშა ან გლე-
ხი პიროვნებაა და არა მასა. ინტელიგენტის
უმრავლესობა მასაა, რადგან მისი წარმომადგე-
ნლები არაფრით არ ბრწყინდებიან და არ განსხვა-
ვდებიან ერთმანეთისაგან. მხოლოდ ის ინტელი-
გენტები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი
ინდივიდუალობით და ორიგინალობით ან პირო-
ვნებებით, მაგალითად, გამოჩენილი მწერლები,
მეცნიერები, რეჟისორები, მსახიობები, მხატვ-
რები და ა.შ.

ამგვარად, მასად ან პიროვნებად ყოფნა არ
არის რომელიმე სოციალური ფენის დამახასიათ-
ებელი ნიშანი. ნებისმიერი სოციალური ფენის
წარმომადგენელი შეიძლება მიეკუთვნებოდეს
ერთს ან მეორეს. მასა არც სოციალური ფენაა
და არც სოციალური ჯგუფი. იგი გარკვეული
ტიპის ადამიანია. იგივე თქმის პიროვნებაზეც.

მასა და პიროვნება

ბრბო სოციალური ჯგუფია, რომლის წევ-
რები გავრთიანებულია ერთი იდეით და მოქმე-
დებიან ერთნაირად. მისთვის დამახასიათებელია
უკიდურესი ეგზალტაცია და აღტაცება. იგი
ემოციურად დამუხტულია, ავზნებულია და მზა-
დაა განადგუროს ყველა და ყველაფერი, რაც
აქამდე არაა განსჯილი, არამედ ემოციურად, ამი-
ტომ მის ქცევას წარმოადგენს გრძელვადიანი და არა
განუხლები. ბრბო ავზნებული ადამიანთა ჯგუფი,
რომელიც ღონის წესით ასამართლებს დამნაშა-
ვეს, ამტკრებს მალაზიების ვიტრინებს, იტაცებს
ქონებას და სხვა.

ბრბო არაორგანიზებული, უდისციპლინო
მასაა. იგი მოქმედებს უნებლიედ და უგეგმოდ.
ბრბოა ჯარისკაცების ჯგუფი, რომელიც უწყსრო-
ვოდ და თავუქლმოგლეჯით გარბის ბრძოლის
ველიდან.

ბრბო არ არის მყარი, სოციალური ერთო-
ბა, რომლის წევრები ხანგრძლივად იქნებოდნენ
ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს ისეთი ჯგუფ-
ია, რომელიც წარმოიშობა შემთხვევით და მო-
ულოდნელად. ამიტომ იგი შეიძლება უცერად
წარმოიქმნას, მაგრამ ასევე უცერად დაიშალოს.
არც ერთი ბრბო არ არსებობს დიდი ხნის განმავ-
ლობაში. მას წარმოშობის განსხვავებული მიზე-
ზები: შიში, უკმაყოფილება, შიმშილი, პროტეს-
ტი, სიხარბე და ა.შ. ბრბოს წარმოქმნა ხდება
კრიზისულ სიტუაციებში.

მასა ბრბო არ არის. მათ შორის არსებითი
განსხვავებაა, რაც ძირითადად შემდეგში გამო-
იხატება: 1) ბრბო სოციალური ჯგუფია, მასა —
არა. ბრბო დრო-და-დრო წარმოიქმნება და იშ-
ლება, მასა — არა. 2) ბრბო ერთი აზრით და
გრძნობით დამუხტული ჯგუფია, მის წევრებს
მოლიანად იპყრობს რაღაც იდეა, ემოციურად
აღაგზნებს და ერთ მუხტად კრავს მათ, რათა
ენერგიულად იმოქმედონ ერთად. მასა არ არის
ერთი აზრით და გრძნობით შეკრული დროები-
თი ჯგუფი. მის წევრებს არ აერთიანებთ ერთი
იდეა და გრძნობა. იგი იდეურად და ემოციურად
არაერთგვაროვანია: მასა ორ ნაწილად მაინც
არის გაყოფილი: ერთი ხელისუფლებას, მეორე
კი — ოპოზიციას უჭერს მხარს. მათ განსხვავე-
ბული ღირებულებებით ორიენტაცია და გრძნო-
ბები ამოძრავებთ. მასა არ არის ერთიანი, იგი
ამორფულია. 3) ბრბო ეგზალტირებულია, აღტ-
ყინებულია, ამიტომ აგრესიულია. იგი მზადაა
წალკოს ყველა და ყველაფერი, რის გამოც დე-
სტრუქციულია. მასა არ არის დამუხტული, ამი-
ტომ იგი ნეიტრალურია და არა აგრესიული. იგი
შეიძლება იყოს დესტრუქციულიც და კონსტრუ-
ქციულიც. ეს დამოკიდებულია იმაზე თუ რა მი-
ზნით და მიმართულებით მოხდება მისი დარაზ-
შია. 4) ბრბოს ცნობიერება ფსიქოზურია, მასთან
დიალოგი და კამათი გამორიცხებულია. იგი უსიტ-
ყვოდ იგებს იმას, რასაც მისი კერპი უბნება,
მაგრამ ასევე უყოყმანოდ უქუაგდება ყოველივე
იმას, რაც მისი ლიდერისთვის მიუღებელია. იგი
აგრესიულად მორჩილია. მორჩილია თავისი კე-
რპის, ხოლო აგრესიული მისი ოპონენტების მი-
მართ. მასას არა აქვს ფსიქოზური ცნობიერება,
ამიტომ მასთან დიალოგი და კამათი შესაძლებე-
ლია. მასაც მორჩილია, მაგრამ არაა აგრესიუ-
ლად მორჩილი. ისიც კერპთაყვანისმცემელია,
თუმცა მას არ ყავს ერთი კერპი. მასის ერთი
ნაწილი ერთს სცემს თავიანთს, ხოლო მეორე —

სხვას. მასობრივი ფსიქოზი ახასიათებს ბრბოს
და არა მასას.

არც ერთი სოციალური ჯგუფი თავისთავად
ბრბო არ არის, მაგრამ ნებისმიერი მათგანი შე-
იძლება ბრბოდ იქცეს. მაგალითად, არმია ბრბო
არ არის, რადგან იგი მკაცრად ორგანიზებული
და დისციპლინირებულია. მაგრამ თუ იგი დაი-
შალა, მისი დისციპლინა მოირღვა და მისმა ცა-
ლკეულმა ჯგუფებმა თვითნებურად დაიწყეს აგ-
რესიულად მოქმედება, მაშინ იგი ბრბოდ იქცევა.
შეიძლება ინტელიგენტთა ჯგუფიც ბრბოდ იქ-
ცეს, როდესაც დექატურის პირობებში ისინი
ქვეყნის ხელმძღვანელს აღფრთოვანებით ხედ-
ნიან, ფეხქვეშ ეგებიან და კარგავენ კრიტიკული
აზროვნების უნარს, მაშინ ხდება მათი ბრბოდ
გადაქცევა.

ამგვარად, ბრბო არ არის ერთი რომელიმე
სოციალური ფენა ან ჯგუფი. არ შეიძლება იმის
თქმა, რომ გლეხები, მუშები, ინტელიგენტები,
ჯარისკაცები და ა.შ. ბრბოა. მაგრამ ნებისმიერი
მათგანი გარკვეულ პირობებში შეიძლება
ბრბოდ გადაიქცეს. ამგვარ მეტამორფოზს ერ-
თი დიდგენილი მიზეზი არა აქვს. ეს შესაძლებე-
ლია მონდენ შემთხვევით და მოულოდნელად.
ბრბო არ არის მყარი სოციალური ერთობა, რო-
მელიც ხანგრძლივად არსებობს. იგი სიტუაციე-
ბის მიხედვით წარმოიქმნება და იშლება.

ბრბოს და მის ცნობიერებას (მასობრივ
ფსიქოზს) უნდა ვებრძოდეთ. მისი აგრესიულო-
ბა შეიძლება ძალის გამოყენებითაც აღიკვეთოს.
მასას და მის ცნობიერებას არ უნდა ვებრძო-
ლოდ, მასთან დიალოგი საჭიროა.

ხალხის და მასის უკითხავი უკითხავი

ახლა პასუხი გავცეთ ზემოთ დასმულ კითხ-
ვას. არის თუ არა ხალხი და მასა ერთიანობა?
კანონზომიერია თუ არა მათი გაიგივება? პასუხი
კატეგორიულად უარყოფითია. მასა და ხალხი
არ არის იგივეობრივი. დღესდღეობა „მასა ახლ
ხალხი“, რომელსაც იზიარებს ზოგიერთი ავტორი,
პრინციპულად მცდარია. ამის დასადასტურებ-
ლად ერთმანეთს შევადაროთ „ხალხისა“ და „მა-
სის“ ცნებები.

ხალხი ისტორიული ერთობაა, მასა კი არ
არის ერთობა — არც ისტორიული და არც სო-
ციალური. იგი გარკვეული ტიპის ადამიანთა სო-
მრავლება.

ხალხი მოიცავს როგორც მასას, ისე პირო-
ვნებას. ორივე მისი აუცილებელი შემადგენელი
ნაწილია. ქართველი ხალხია არა მხოლოდ
მშრომელი მასა, არამედ გამოჩენილი პიროვნე-
ბებიც, დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე,
ილია და აკაკი ისევე მიეკუთვნება ქართველ
ხალხს, როგორც ნებისმიერი რიგითი მშრომე-
ლი. ხალხი არა თუ არ უპირისპირდება პირო-
ვნებას, არამედ გულსხმობს თავის განუყოფელ
ნაწილად. მასა, პირიქით, უპირისპირდება პირო-
ვნებას. იგი გამოირჩევა მას. გამოჩენილი პირო-
ვნება არ მიეკუთვნება მასას, მაგრამ მიეკუთვნე-
ბა ხალხს.

თუ ხალხსა და მასას გავიგივებთ, მაშინ
აღმოჩნდებით აბსურდულ მდგომარეობაში:
ხალხს არ უნდა მიეკუთვნებოდეს გამოჩენილი პი-
როვნებები. გამოდის, რომ ქართველი ხალხი
უსახო, უპიროვნო მასაა, რომელსაც არ მიეკუ-
თვნება დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე,
ილია და აკაკი. სწორედ ეს იქნება ქართველ
ხალხის ყველაზე დიდი დამცირება და შეურაც-
ხყოფა.

ამგვარად, ხალხი მასისა და პიროვნების ერ-
თიანობაა. ერთმანეთს უპირისპირდება არა ხა-
ლხი და პიროვნება, არამედ მასა
და პიროვნება.

თეზისი, რომ ხალხი ქმნას
ისტორიას, არასწორად იქნა ობ-
ტერპრეტირებული ლენინის მე-
რე: თითქოს ხალხის მასები ქმნა
ისტორიას, ხოლო გამოჩენილი
პიროვნებები მასში მონაწილე-
ბენ მხოლოდ იმით, რომ აჩქარე-
ბენ ან ანელებენ მას. გამოდის,
რომ ომს იგებს ჯარისკაცი და არა
სარდალი. პოეზიას ქმნის საშუა-
ლო და არა გამოჩენილი პოეტ
და ა.შ. თითქოს განმსაზღვრედ
ხალხის მასაა, ხოლო პიროვნე-
მეორეხარისხოვანი. ე.ი. დიდგო-
რის ომის მოგებაში განმსაზღვ-
რელი როლი შეასრულეს რიგით-
მა მებრძობმა, ხოლო დავით აღ-
მაშენებელმა მეორეხარისხოვანი.
ქართული პოეზიის განვითარე-
ბაში განმსაზღვრელი როლი
იქნა მასის უცნობმა პოეტებმა, მა-
გრამ არა რუსთაველმა, გურამი-
შვილმა, ბარათაშვილმა, ვეფ-
ხეშვილმა და ა.შ.

ისტორიას მართლაც ხალხი
ქმნის, მაგრამ არა მხოლოდ ხალ-
ხის მასები. პირველი მეორეზე არ
დაიყვანება. იგი პიროვნებებსაც
მოიცავს. თეზისი, რომ ისტორიამ
ქმნის ხალხი სწორია და ნიშნავს
შემდეგს: ისტორიას ქმნის ხალხის
მასები და გამოჩენილი პიროვნე-
ბები ერთად, მაგრამ არც ერთი
ცალკე-ცალკე. ერთმანეთს გავ-
რთიანებენ.

შე ისინი ვერაფერი ვერ შექმნიან. პიროვნება
მასებზე დაყრდნობით, ხოლო მასები მისი ხელ-
მძღვანელობით ქმნიან ისტორიას. არც ერთს არ
შეიძლება მიეცეს რაიმე უპირატესობა, რადგან
ისინი სხვადასხვა როლს ასრულებენ ისტორია-
ში. პიროვნება ხელმძღვანელია, მასა შემსრულე-
ბელი. ისინი ერთმანეთს ვერ შეცვლიან.

ქართველი ხალხი და მასის აპოკალიფსი

ზოგიერთი ახდენს ქართველი ხალხის გაი-
დიდებებს, როდესაც მას ახასიათებს როგორც
სრულყოფილს და ღვთაებრივს. ქართველი ხალ-
ხი ბრძენი და კეთილია — ამტკიცებენ ისინი,
ამგვარი მსჯელობა, რბილად რომ ვთქვათ, თუ
ნაციონალისტური არ არის, მაშინ გულუბრყვი-
ლობაა. ის, რომ ქართველს თავისი ხალხი უყ-
ვარს, ეს სასეხებით ზუნებრივია და გასაცემი, მა-
გრამ ეს ფაქტი სრულებით არ აძლევს მას უფ-
ლებას დაკარგოს რეალობის გრძნობა და იმსჯე-
ლოს თავისი ემოციებისა და სურვილის მიხედ-
ვით.

არც ერთი ხალხი არ არის სრულყოფილი
და ბრძენი. ყველას თავისი ღირსება და ნაკლი
აქვს. არც ერთი მათგანი ღმერთს არ მოუფლენია
ამქვეყნად რაიმე მისით. ყოველი ხალხი გარკვე-
ულ ისტორიულ პირობებში ჩამოყალიბდა და
ასრულებდა რაღაც როლს — ზოგი მნიშვნელო-
ვანს, ზოგიც უმნიშვნელოს — მსოფლიო ცივი-
ლიზაციის განვითარებაში. რამდენი ხალხი, ისე-
თებიც კი, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი
შეიტანეს მსოფლიო კულტურის განვითარე-
ბაში, ისტორიული ბედ-უკუღმართობის გამო
აღიგავნენ მიწისაგან პირისა. საქმარისთა გავისე-
ნით ძველი ბერძენი ხალხი, რომელმაც საფუძველი
ჩაუყარა ევროპულ ცივილიზაციას, გაქრა და
აირია სხვა ერებში. ძველ ბერძენს თავისი და-
დებითი და უარყოფითი თვისებები ჰქონდათ.
ბევრი საბაბო, მაგრამ მრავალი სამარცხვინო
მოქმედება ჰქონიათ თავის ისტორიაში. მარ-
თალია, ძველ საბერძენთს უხვად ყვავდა გამოჩე-
ნილი პიროვნებები, რომლებიც დაჯილდოვებულ-
ნი იყვნენ სიბრძნით და ზნეობრივი უმწიკლო-
ბით, მაგრამ მისი მასა (როგორც ყველა ხალხის
მასა) შედგებოდა საშუალო ნიჭის, უნიჭობისა
და რვეგენებისაგანაც კი.

ახალგაიერად უნდა ვიმსჯელოთ ქართვე-
ლი ხალხის შესახებაც. იგი არავის მოუფლენია
ამქვეყნად რაღაც განსაკუთრებული მისით.
დროა საბოლოოდ უკუვადოთ მესიანიზმის
იდეა, რომ თითქოს ქართველ ხალხს აქვს რაღაც
განსაკუთრებული მისია მსოფლიო ცივილიზა-
ციის წინაშე. იგი ჩამოყალიბდა გარკვეულ ის-
ტორიულ პირობებში და თავის რეგიონში ასრუ-
ლებდა ხან მნიშვნელოვან, ხან კი უმნიშვნელო
როლს. მისი ისტორია სასევა გმირული, მაგრამ
ასევე სამარცხვინო მომენტებითაა. მის წინა-
ხშირად უწევდა სიბრძნისა და ზნეობის, მა-
გრამ ასევე უგუნურობისა და უზნეობის მაგალი-
თები. ის, რომ ქართველ ხალხს მრავალი დად-
ებითი თვისება აქვს, ეს უდავოა. მაგრამ ასევე
ახასიათებს ნაკლიც, რაც ხშირად აღუწინააღ-
როგორც ქართველ, ისე უცხოელ ავტორებს.

ქართველი ხალხი არ არის რაღაც განსაკუ-
თრებული, მსოფლიოს სხვა ერებზე მაღლა
მდგომი. იგი კაცობრიობის როგორც მთელს
ერთ-ერთი შემადგენელი განუყოფელი ნაწილია,
რომელსაც თავისი თვითმყოფადი და დამოუკი-
დებელი სახე აქვს. სხვა ერების მსგავსად, ისიც
შედგება ჩვეულებრივი მოკვდავებისაგან, რომელ-
თა შორის ბრძენიცაა და რვეგენიც, ნიჭიერიც
და უნიჭოც, ზნეობრივიც და უზნეოც, უდანაშა-
ულოც და დამნაშავეც. უაზროა იმის ვარაუდი,
რომ მხოლოდ კი და არა ცუდი ყველა ქართველი-
სამუხაროდ ეს ასე არ არის. დამნაშავეცაა და
ნეტოც ქართველია, ჩვენი სისხლი და ხორცია.
ამიტომ ვინც ქართველი ხალხის იდეალიზირებას
ახდენს და გულწრფელად აკეთებს ამას, იგი უბ-
რალოდ მიამბობს. იდეალიზირებული ხალხი ვერ
განჩინდება დედამიწის ზურგზე და არც ქართვე-
ლებია ამ მხრივ გამოჩენილი.

რაც შეეხება დებულებას — „ქართველი
ხალხი ბრძენი და კეთილია“ — არის უსაზრისო,
რომელიც მოკლებულია თეორიულ შინაარსს.
ამე ისაა, რომ კატეგორიები „ბრძენი“ და „კე-
თილი“ შეიქმნა არა ხალხს, არამედ პიროვნე-
ბებს. ცალკეული ადამიანი შეიძლება იყოს
ბრძენი და კეთილი, მაგრამ არა ხალხი. ეს უკა-
ნასკენი ისტორიულად ჩამოყალიბებული ერ-
თობაა, რომელსაც თავისი ღირსება და ნაკლი
აქვს. ქართველი ხალხი არ არის ბრძენი და
კეთილი არა ამიტომ, რომ იგი სხვა ხალხებისა-
გან განსხვავებით მოკლებულია ამ თვისებებს,
არამედ იმიტომ, რომ საზოგადოდ არც ერთი
ხალხი არ ხასიათდება აღნიშნული კატეგორი-
ებით. თუ ეს დებულება იხმარება როგორც
მეტაფორა — გადატანითი მნიშვნელობით, მა-
შინ, იგი მხოლოდ მხატვრული ხერხია და მეტი
არაფერი. რამ თუ იგი მტკიცდება როგორც
თეორიული მინაარსის მქონე დებულება, მაშინ
— უსაზრისოა, რადგან ხალხს მიაქვს ისეთ
თვისებებს, რაც მას საერთოდ არ ახასიათებს.
დაახლოებით ეს სხეთივე უაზრობაა, რომ უსუ-
ლი საგნებს მივაწეროთ სულიერის ნიშნები.
მართალია, ხელოვნებაში ეს ჩვეულებრივი ხე-
რხია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი
დაუმეგებელია მეცნიერებაში.

ქართველი ხალხი არც მასაა და არც ბრბო.
თუმცა მას ჰყავს თავისი მასა, რომლის გარკვე-
ული ჯგუფები კონკრეტულ სიტუაციებში შეი-
ძლება ბრბოდ გადაიქცეს. განსაკუთრებით
უკანასკნელი დროის მოვლენებში ამის დამდა-
სტურებელი მრავალი მაგალითი მოგვცა. მასო-
ბრივმა ფსიქოზმა მასის გარკვეული ნაწილი
მოიცვა და მისი ცალკეული ჯგუფები ბრბოდ
აქცია. ამ ფაქტის აღნიშვნა სრულებით არ ნი-
შნავს, რომ ჩვენ ქართველ ხალხს ვახასიათებთ
როგორც მასას ან ბრბოს. მათი არსებობა არა
მართო ქართული, არამედ მსოფლიო მოვლე-
ნაა. ყოველ ხალხს თავისი მასა ჰყავს და მისი
გარკვეული ნაწილი ამა თუ იმ სიტუაციაში
ბრბოდ იქცევა. ცივილიზებული ერებიც კი არ
აიან თავისუფალნი აღნიშნული მოვლენისა-
გან. ამიტომ მასის რომელიმე ნაწილის
ბრბოდ გადაქცევა გამოირეზებულია არა ქარ-
თული ხასიათის რაღაც თანკუთრებით, არა-
მედ საზოგადოების განვითარების სადავი კა-
ნონზომიერებით. ეს არ არის ერთგული —
მხოლოდ ქართველების ტრაგედია; იგი გლობა-
ლური მოვლენაა, რომელიც აწუხებს ყველა
ხალხს, მათ შორის, ცივილიზებულ ქვეყნებსაც.
ორტევა-ი-გასეტი მიუთითებს, რომ დღეს მთე-
ლი მსოფლიო იქცევა მასად.

როდესაც ჰიდვეგერი და ორტევა-ი-გასეტი
უარყოფითად ახასიათებენ მასას და ბრბოს, მათ
მხედველობაში არა აქვთ გერმანელი ან ესპანელი,
მით უმეტეს, ქართველი ხალხი. ისინი ამით თანა-
მედროვე ეპოქას ახასიათებენ, რადგან მიანიანთ,
რომ მასების ამზობი და ბრბოს აგრესიულობა
მეოცე საუკუნის საზოგადოების განვითარების
ზოგადი თვისებებია. რასაკვირველია, არც ქა-
რთული ხალხია მისგან თავისუფალი. აქ საშრო-
ბობა მასა, რომ ამ პროცესში არ მიიღოს ტოტა-
ლური ხასიათი და მთელი ქართველი ხალხი არ
აქციოს მასად. ამიტომ საჭიროა დროზე ჩავაქ-
როთ მასების ამზობით განჩინილი ხანძარი. ეს კი
შეუძლია დემოკრატის, რომლის საყრდენი იქნე-
ბა არა მასა და მისი ნება, არამედ ხალხი და კანონი.



— არა, ცოლად შევირთავ. მარა თუ ფურთხება და ძმის სროლა იცის, არ მინდა!

დღეს საქართველო ღრმა საზოგადოებრივ კრიზისში მოუყვას. მისგან თავის დაღწევა და დამოუკიდებლობა თუ გვსურს, ეკონომიკური რეფორმები ძირფესვიანად, სწრაფად უნდა განვახორციელოთ. უმთავრესი წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრების ფორმების შეცვლა, გაუქმება; საზოგადოებრივ წყობას ხომ სწორედ საკუთრების ფორმები განაპირობებს. ვის ხელშიც არის საკუთრება და ვინც მის ფორმებს განსაზღვრავს, ხელისუფლებაც მისი და სახელმწიფოსაც ის განაგებს. პიროვნების თავისუფლებაც და სახელმწიფოს დამოუკიდებლობაც ამ ფაქტორებს ეფუძნება. წინა წერილში ნათქვამის გათვალისწინებით ეს თეორიული დებულებები ხელშეახებად ცხადი ხდება.

სადაღ მოაზროვნე და არა ფანატრიზმით გდნებადამშული ადამიანისათვის ახლა უკვე ნათელია — კრიზისის მიზეზი წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრების ის ფორმებია, რომლებიც „სოციალიზმის“ ნიშნით თავს მოგვახვევს სტალინის თუ მის შემდგომ ხანაში.

ეს უცოდინარობით ან ახლის შენების გამოუცდებლობით არ მოსვლიათ. უკვე მარქსმა განსაზღვრა სახელმწიფო საკუთრების როლი დიქტატურის შექმნაში. მაშინ რამდენიმე წარსულის კლანჭებს თავი რომ დაეკარგოთ და ჰემარატივად დემოკრატიული, თავისუფალი საზოგადოება შექმნათ, სახელმწიფო საკუთრების „სოციალისტური“ ფორმები უნდა გავაუქმოთ.

დაიხ, სწორია, მისასალმებელი და საამაყო, რომ მთავარი ნაბიჯი ამ მიმართულებით მთავრობამ უკვე გადადგა — ძნელად, მაგრამ ცხოვრებაში ხორციელდება მიწის რეფორმის პირველი ეტაპი. მიღებულია სათანადო დადგენილებებიც, რომელთაც უკვე საკუთარი პრესა აქვთ სათანადო შენიშვნებით. ამ წერილებით ჩვენც მას ვუერთდებით.

ყურადღებას გავამახვილებთ ამა წლის 18 იანვარს მიხსტრთა კაბინეტის მიერ მიღებულ საკანონმდებლო აქტის შესახებ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№ 16—17) გამართულ საუბარში ბ-ნ პ. კოლუაშვილის (საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე) მიერ დასკვნის სახით ნათქვამზე: «„მიწის სახელმწიფო საკუთრება და პროდუქტის სახელმწიფო მიხმარება“. სხვა გზა არ არის, ჩვენც ცივილიზებული მსოფლიოს რიგებში უნდა ჩავდეთ» (ხაზი ჩვენია, — პ. თ.).

განა ცივილიზებული მსოფლიოს შემადგენელ ქვეყნებში მთელი მიწა სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს?

აქ აშკარა წინააღმდეგობა ან რაღაც გაუგებრობაა. „საუბრიდან“ ნათლად ჩანს, რომ ბ-ნი კოლუაშვილი მიწაზე კერძო საკუთრების დამცველია. მისივე სიტყვით, მიწის რეფორმის შემუშავების დროს „დიდი დაკვირვება გვმართებს იმის გადაწყვეტაში, თუ რომელი ფორმა მიწათმფლობელობისა უფრო ხელსაყრელია ეროვნული მკურნეობის განვითარებისათვის, მსხვილი მფლობელობა თუ წვრილი, ან როგორი უნდა იყოს მიწის მფლობელობა კერძო საკუთრებით, თუ საზოგადო“ (ხაზი ჩვენია — პ. თ.). და, ბოლოს, „...მიღებული დადგენილები და დაიხორჩის საკარმიდამო ნორმების გაზრდა და მისი კერძო საკუთრებაში გადაცემა. მაგრამ ამ ბოლო ნაწილზე კი გეტყვი, რომ მას საბოლოოდ მხოლოდ პარლამენტი დააკანონებს“.

ხაზგასმულ კითხვებზე პასუხი, — რაც არსებითად მიწის რეფორმის არსს შეადგენს, — ანუ არჩეული გზა, განსაზღვრავს საქართველოს მომავალ საზოგადოებრივ წყობას. ამიტომაც გემართება საზოგადოების ყოველ წევრს, მით უმე-

ტეს პარლამენტის დებუტატს, კარგად ვერკვეოდეთ მიწათმფლობელობის ფორმათა არსში და არ შევცდეთ მათი არჩევანის, მეტადრე დაკანონების დროს.

დღეს კი მრავალი ჩვენთაგანი აღნიშნულ საკითხში სწორად ვერ გარკვეულა. ეს გასაგებია. 70 წლის განმავლობაში საზოგადოებას ყალბი წარმოდგენა შეუქმნეს მიწის და საერთოდ წარმოების საშუალებებზე სახელმწიფოს საკუთრების არსის შესახებ.

ტონებული კლასის პოლიტიკური ორგანიზაცია თავის კლასობრივ მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგობის ჩასახშობად“.

თუ ეს ასეა, ასეთი სახელმწიფოს არსებობის დროს მნიშვნელობა აღარა აქვს გაბატონებული კლასი, ფენა თავის თავს უწოდებს — „პროლეტარიატის დიქტატურას“, საყოველთაო კეთილდღეობისთვის მებრძოლ პარტიას თუ „ეროვნული“ ინტერესების დამცველ მთავრობას. მით უმეტეს, რო-

აი, ამიტომ იძენს მიწის, როგორც წარმოების ერთ-ერთი ძირითადი საშუალების, რეფორმის უდიდეს მნიშვნელობას ახალი საქართველოს შენების საქმეში. ამ საქმის საფუძვლად თუ ისევ „მიწის სახელმწიფოს საკუთრება და პროლეტარიატის სახელმწიფო მოხმარება“ (ანუ განაწილება?) დავდეთ — შერყეულ საბჭოურ საზოგადოებრივ წყობას ჩვენვე განვამტკიცებთ და ამჯერად უკვე ამას ველარავის ვუსაყვედურებთ.

როლი, თავის უშუალო ფუნქციონირებად და მორგებულ, მუქთარობაბიუროკრატის ანუ „ბუროკრატულ“ შტაბში, რომლის დევიზიცაა „სტალინიზმი“ — დღევანდელი წინ კომუნისტების გამარჯვებისაკენ! — ესე იგი, თქვენ იმუშავებთ და ჩვენ გინდობდნენლებო! განა ეს წმინდა წყლის ექსპლოატაცია არ არის?!

ეს აბარატი ანუ გაბატონებული კლასი თავს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიის ქდავებით იცავდა. ისევე, როგორც დოგმატიკული ყოველი იდეოლოგია, ესეც კერპად გაიხადეს და მისდამი არათუ კრიტიკული, ყოველგვარი შემოქმედებით მიდგომა სასტიკად იდგენებოდა. ესეც გასაგებია — დიქტატურა იდეოლოგიურ სამოსელში უნდა გახვეულიყო. ასეც უნდა მომხდარიყო — ნებისმიერი ბატონობა ხომ თავის საყრდენს და გამართლებას ეძიებს და ბოლოს კიდევ, ზოგი მიწიერ, ზოგი ზეციურ ძალებში. განა ჩვენთანაც ასე არ იყო უახლოეს წარსულში?

დაიხ, ძველ მსოფლმხედველობასთან ნამდვილი ბრძოლა გემართებს — ყველგან, პირველ რიგში საკუთარ შეგნებაში. საბჭოურ დიქტატურაში შობილი საზოგადოებისთვის ეს ერთობ ძნელია, რადგანაც ცნებათა და ღირებულებათა დევალაცია, ბოროტისა და კეთილის არსის ცვლა მოხდა, ავისა და კარგის გაგება დაიკარგა. ბუნებაში ეს თითქოს ადელია, მაგრამ იქაც ცეცხლი გარკვეულ ზღვრამდე გათბობს, მერე გწვავს. ცივილიზებულ სახელმწიფოში ამ „ზღვრის“ მართვაში ყოველი მოქალაქე უნდა მონაწილეობდეს. მაგრამ ვის, რას წარმოვადგენთ ჩვენ ერთად და თითოეული ცალ-ცალკე, მით უმეტეს სახელმწიფოს სათავეში მყოფნი? „ათბობს“ თუ „წვავს“ მათი ხელმძღვანელობით მოქმედი სახელმწიფო?

დიქტატურამ განმტკიცება თუ მოასწრო — „დავწვავს“. სტალინიზმში ჩამოყალიბებულმა საზოგადოებამ ეს ასე სწრაფად დაივიწყა? დიქტატურასაც დასაწყისში ჩვენი უფიცობის და ფანატრიზმის ალ „ათბობს“, რომელიც შემდგომ, ამძვივარებული, დიქტატორისა და მისი მონუსხულ საზოგადოებასაც „წვავს“ და ასეთი სახელმწიფო ინგრევა. ზოგან ეს გვიან ხდება, ხოლო სადაც ალლო დროზე აუღეს და ვერ განმტკიცდა — მაღე.

დაიხ, საქართველო დღეს ბრძოლაშია ჩართული და ზემოთაღნიშნული ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა რომ სწორად შევიმუშავოთ, ამისთვის ჩვენი ქვეყნის შორეული და უახლოესი წარსული კრიტიკულად უნდა შევადგათ. აქ კი შემადგენლის მსოფლმხედველობრივი მრწამსია გადაწყვეტი. მაგრამ ამით უკვე იდეოლოგიურ პრობლემებში ვიჭვრებით. მით შესახებ კი სხვა დროს.

გაველი თოვშია

საით გაპირებთ? ანუ მიწის რეფორმა საქართველოში

(წერილი მემორე)

უფრო მეტი ბ-ნი კოლუაშვილიც აღნიშნავს, რომ საქართველოში მოქმედ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას ზედპირობულადაც კი არ გამოუკვლევია მიწათმფლობელობის პრობლემა და დაუშუშავებელი თეორიული პროგრამებით კმაყოფილდებიან. მეცნიერთა ერთი ჯგუფი კი დღეს უპირატესობას სათემო მიწათმფლობელობას ანიჭებს მაშინ, როდესაც მისი ტრადიციები მხოლოდ მთაში არსებობს. „მაგრამ მომავალი კერძო საკუთრებას ეკუთვნის“.

ასეთ პარტიათა წევრ დებუტატებისგან როგორ პარლამენტს მივიღებთ, ამაზე თუ ვფიქრობთ? ცხადია, თუ რა მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებით მიწის და სხვა რეკლუციული რეფორმების გატარების დროს.

დაიხ, მომავალი კერძო საკუთრებას ეკუთვნის. მაგრამ როგორ კერძო საკუთრებას? — კუსტარულსა და წვირის, უპერსპექტივისა და დასაღუბავად განწირულს თუ მსხვილსა და მძლავრს, მაგრამ სხვისი შრომის ექსპლუატაციაზე და ჩაგვრაზე დამყარებულს თუ ასეთისგან თავისუფალს?

თუკი წარმოების საშუალებებზე საკუთრების სხვადასხვა ფორმებს ვაღიარებთ, — ეს კი ნამდვილად ასე უნდა იყოს, რადგანაც იგია ჰემარატივი და არა ბურჟუაზიული ან ჩვენთვის ცნობილი ცრუსოციალისტური დემოკრატიზმის საფუძველი, — ასეთ შემთხვევაში როგორ შეუთავსდება ერთმანეთს სახელმწიფო და კერძო საკუთრება? ისინი ხომ ერთმანეთს გამორიცხავენ. თუ მთელი მიწა სახელმწიფო საკუთრებაა, ნებისმიერი ფართობის საკარმიდამოც კერძო საკუთრებაში როგორღა იქნება? ერთი მიწის ორი ბატონი? რომელი იქნება მათ შორის მთავარი? — ცხადია, სახელმწიფო რა... ისეც საბჭოური სინამდვილის დაცვა-დამკვიდრება არ გამოდის?!

საკუთრების ნებისმიერი ფორმა ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნული, დამოუკიდებელი, იურიდიულად და სტუბიქტურად განსაზღვრული უნდა იყოს. თავისუფალი უნდა იყოს მწარმოებელიც თავისი ნაწარმის რეალიზაციისას. ესე იგი, უნდა სუფევდეს თავისუფალი ვაჭრობა და არა „პროლეტარიატის სახელმწიფო მოხმარება“ (იხ. ზეითი, ბ-ნი კოლუაშვილთან). აქ „სახელმწიფო მოხმარების“ ნაცვლად, ალბათ, სახელმწიფო განაწილება იგულისხმება. მთლიანობაში კი — მიწის სახელმწიფო საკუთრებასთან ერთად — ეს იგივე საბჭოური სოციალიზმია.

რას ნიშნავს „სახელმწიფო საკუთრება“, ანუ რა შინაარსს შეიცავს ეს ორი ცნება ნებისმიერი საზოგადოების ისტორიული განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე? როგორც ცნობილია სახელმწიფო არის „ეკონომიკურად გაბა-

დესაც მისი შეუზღუდველი ნებაა კლასობრივ ან ხალხის მტრად, იმპერიალიზმის ან კრემლის აგენტად გამოჰხადოს არათუ ნებისმიერი პიროვნება, სოციალური და ეთნიკური ჯგუფიც კი.

ყველაფერ ამის საფუძველი, ბაზისი სტირდება. მას საკუთრება ქმნის. საკუთრება კი გახლავთ „წარმოების საშუალებათა, საშუალო ძალისა და მოხმარების დასაკუთრების შედეგად აღმოცენებულ ურთიერთობათა სისტემა... იგი ჩაისახება უშუალო მატერიალური წარმოების წიაღში და შემდგომ მოიცავს განაწილების, გაცვლის, მოხმარების სფეროს“.

მაშასადამე, ამოსავალი წერტილი უშუალო წარმოება ყოფილა. წარმოება კი წარმოუდგენელია ადამიანის, ანუ უშუალო მწარმოებლისა და საწარმოო ძალების პირდაპირი კავშირის გარეშე. ესე იგი, როგორც არის, რა შინაარსიც აქვს, საზოგადოებრივი ურთიერთობების როგორი კანონიერ-ივც ხორციელდება ეს კავშირი, ისეთივეა საზოგადოებრივი წყობაც, ანუ საზოგადოებრივი ურთიერთობანი, ანუ სახელმწიფო.

თუ წარმოების საშუალებები და საშუალო ძალა უშუალო მწარმოებლის საკუთრებაა — ოგი ნაწარმის შესაკუთრე, პატრონიც არის და აღნიშნულ სფეროსაც, ძირითადად, ის განაგებს. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება არაექსპლუატატორულია.

მაგრამ როდესაც წარმოებაში და, შესაბამისად, ნაწარმში წილი უდიდეს ექსპლუატირებულ სამუშაო ძალას ან, უარეს შემთხვევაში, წარმოება მთლიანად ასეთ ძალაზე აგებული, იწყება კაცობრიობის ისტორიაში დღემდე გადაუჭრელი სოციალურ-ეკონომიკური და მასზე აღმოცენებული პოლიტიკური წინააღმდეგობანი. აქ არის ძალის თავი ჩამარხული. ეს არის უმთავრესი მიზეზი და ამძრავი კლასობრივი ბრძოლის ყოველგვარი გამოვლენისა — „უბრალო“ პროტესტით, შიმშილობით, გაფიცვით, ჯანყით, რევოლუციით თუ სამოქალაქო ომით გამოხატული.

ამრიგად, თუ გვსურს, რომ ცივილიზებული საზოგადოება ვიყოთ ერთი „უბრალო“ რამ უნდა გავაკეთოთ — ეს ორი ისტორიული კატეგორია, სახელმწიფო და საკუთრება, ისეთი შინაარსისა უნდა ავიგოთ, რომ კლასობრივი ბრძოლის თუ სხვა წინააღმდეგობათა საფუძვლად არ იქცენ.

ეს „უბრალო“ რამ უნდა წარმოადგენდეს ყოველი რევოლუციისა თუ რევოლუციური გარდაქმნის უმთავრეს მიზანს. ეს უმთავრესი თუ გადაჭრით არ განხორციელდა, ჩვენი წარსული ახალი თუ ძველი ხელისუფლების მსგავსად დემაგოგის ჭაობში მოვექცევით და ნებისმიერი ძალისხმევა ფუჭი იქნება. ასეთ საზოგადოებას კრიზისი აუცილებლად მოიცავს, ბაზისი მოეშლება და ზედნაშენიც ზედედ დაენგრევა. ამის დასტური საბჭოური და სხვა მისი მსგავსი სინამდვილეა.



ავთანდილ კოპიაშვილი

ნებატიური მორალი

რით, ეს ნებატიური მორალი მაინც ბევრად უმჯობესია მორალური თვალსაზრისით ნულოვან მდგომარეობაზე, რასაც უკვე ვერაფერი უშველის ნამდვილი სასწაულის — ღვთაებრივი გამოცხადების მეტი. კანტისა და ფიხტეს მიხედვით ნებატიური მორალიდან სავესებით შესაძლებელია საზოგადოების ამოღება მორალურობის პოზიტიურ საფეხურამდე, როცა ადამიანები არა მარტო სხვისი ქცევის შემფასებლები იქნებიან ზნეობრივი კრიტიკიკით, არამედ საკუთარი თავისაც.

სრულიად სხვა აზრისაა ფრიდრიხ ნიცშე. მას მიაჩნია, რომ საზოგადოდ ტრადიციული მორალი ანუ ქრისტიანული მორალი ესაა მონათა მორალი, ზემოხსენებულ დაზარალებულთა, დაზარალებულთა მორალი და მას პოზიტიურობის ხარისხი საერთოდ არ მიეწერება, რამდენადაც, ნიცშეს მიხედვით, ამ დაზარალებულ-

თა და დაზარალებულთა, ამ სუსტებისა და ავადმყოფების ყოველ ფიქრსა და ზრახვას, ყოველ მათ მოქმედებას, თავიანთ მჩაგვრელებზე შურისძიების წყურვილის ღრმა იატაკქვეშა გრძნობა წარმართავს და არა კანტის მიერ დადგენილი მორალური კანონის მოთხოვნათა უთუო და უანგარო დაცვა-აღსრულების წადილი. საზოგადოდ, ნიცშეს აზრით, დედამიწაზე არაფერია ტრადიციულ-ქრისტიანული მორალის დამცველი და ცხოვრებაში გამტარებელი, არც ჩაგრული და არც მჩაგვრელი, თავის მიერვე შექმნილი ზნეობრივი პრინციპების ერთადერთი დამცველი და პირად ცხოვრებაში გამტარებელი კაცი — იესო ნაზარეტელიც ჯვარზე მოკვდა, ჯვარზე აღესრულა... ამ ვი-

თარებაში ნიცშეს ერთადერთ გამოსავლად ესახება... ადამიანთა დღევანდელი გადაგვარებული, დაბნელებული და ცოდვილი დაცემული მოდგმის გადაშენება, მისი სრული განადგურება და ზეადამიანების, ზეცების მოსვლა...

ვერ გეტყვით, არის თუ არა ეს გამოსავალი, მაგრამ რელიგიურ-ეთიკური პრობლემატიკა რომ გვერდზე გადავდოთ (ზადაც, სამწუხაროდ, ასევე ჩიხში შევედით) და კვლავ „ტუჰყიან“ პოლიტიკას მივუბრუნდეთ, თუკი დასავლეთის ცივილიზებულ სამყაროს მივაპყრობთ მზერას, დავინახავთ, რომ იქ საქმე „ოდნავ“ უკეთესადაა. ძნელი სათქმელია, ზეცები მოვიდნენ თუ არა, მაგრამ ამკარაა, რომ ნიცშეს შემ-

დეგ ერთი საუკუნის მერე იქ მართლაც რაღაცა მომხდარა და ადამიანები ნებატიური მორალიდან პოზიტიურზე ამოღებულან; პოზიტიურ საფეხურამდე, ნამდვილ მორალურობამდე ამოღებულან, სხვათა შორის, პოლიტიკოსებიც! ჩვენ როდისღა გვეშველება?!

როცა შველაზეა ლაპარაკი, იგულისხმება კომუნისტური პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურებისაგან განთავისუფლება, მათი სრული დემონტაჟი, რადგან იგი ეკონომიკური, პოლიტიკური, ზნეობრივი და რაგინდარა სხვა თვალსაზრისით ნამდვილ დამბრკოლებს ლოდადა ქცეული ჩვენი ცხოვრებისათვის. როდისღა დაძლევენ ჩვენი პოლიტიკოსები ამ სტრუქტურების ხიბლსა და ჯადოს და როდის აღმოცენდება მათ სულში მტკიცე ნება ხსენებული ინსტიტუტების დემონტაჟისა?

ჩვენი „გამაბუნდნიერებელი“ მარქსისტულ-მატერიალისტური მოძღვრება გვასწავლის, რომ ყოფიერება განსაზღვრავს ცნო-

ბიერებას. ე.ი. შვეიცვლები ზნეობრივად, პოლიტიკურად სულთერად დავწინააღმდეგებთ მაშინ, როცა ეკონომიკურად ვწინააღმდეგობთ. ეტყობ ბევრი ჩვენი პოლიტიკოსი ის მარქსისტულ მოძღვრებას მსდევს, როცა ეკონომიკურ დაწინაურებისათვის ილტვოდა ტრადიციულ სტრუქტურებს ხელუხლებლად ტოვებდა მაგრამ ცალკეულ პირთა ეკონომიკური დაწინაურება როქვეყანას ვერ შველის? ჩვენ რომ აქამდე გვაძლებდნენ, რელიგიურ-იდეალისტური მოძღვრება გვასწავლის, რომ ცნობიერება განსაზღვრავს ყოფიერებას, ე.ი. კუჰნი ფიქრს ცოტა ხნით მაინც უნდა დავანებოთ თავი და სულზე, მაღალ მატერიებზე, საქვეყნო საქმეებზე ვიფიქროთ. საკუთარ თავთან განმარტობულ ამგვარ ფიქრში კი, იმდია, უღრმესი პოლიტიკური ეკონომიკური და ზნეობრივი კრიზისიდან ჩვენი ქვეყნის გამოსნის გზაც გამოჩნდება!

ფირმა „მარათი“ გინვავით სამოგზაუროდ

ჩინეთში — ბათუმი-ხაბაროვსკი-ხარბინი-ბათუმი

მოგზაურობის ღირებულება — 190 ამერიკული დოლარი და 20 ათასი მანეთი, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ხარჯები ბათუმიდან ბათუმამდე. გარდა ამის ჩვენთან შეგიძლიათ, შეიძინოთ

საგასურები შემდეგ კურორტებზე:

ქობულეთი, ბორჯომი, ფახანაური, ციხისძირი.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ვაკე-ფშავკლას გამზირი 45, მე-13 სართული. პირველი ოთახი (მეტრო „დელისთან“ — „საქსოფშენის“ მადლივი შენობა).

ტელეფონი — 31-47-76

კოპერანგების, სანაკომ-დანაკოპულანგების, ფირკებისა და კერკო პირთა საყურადღებოდ!

თუ გსურთ გარანტირებულნი იყოთ თქვენი ტვირთების უდანაკარგოდ და შეუფერხებლად გადაზიდვაში რკინიგზის ტრანსპორტით, რომელიც დღეს ყველაზე უფრო მომგებიანია სატრანსპორტო საშუალებათა შორის, მიმართეთ საქართველოს რკინიგზის შეიარაღებული დაცვის სამსახურს, ერთადერთ ოფიციალურ სტრუქტურას, რომელსაც შეუძლია უდანაკარგოდ გადაიტანოს თქვენი ტვირთი არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ საქართველოს ნებისმიერი საწყისი პუნქტიდან ყოფილი საბჭოთა იმპერიის ნებისმიერ ბოლო პუნქტამდე.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, (რკინიგზის სამმართველოს შენობა, მე-4 სართული), ელსმენი: 99-47-25, სადღეღამისო: 95-20-47, 99-47-75.

მას ასე, თქვენი სურვილი, ჩვენი საქმე!



ნომერში წარმოდგენილი ნახატების ავტორია მურთაზ აბაშიძე

სანტენსიები სუპროგაგაშვიტით

უკრაინული სიმღერა ველიკორუსულ თემაზე: „იაკიმ ტი ბილ, იაკიმ ტი ასტალსია.“
* * *
დეკარტეს კვალად:
— ვაზროვნებ, მაშასადამე, ასე თუ ისე ვარსებობ.
— არ ვაზროვნებ, მაშასადამე, არხეინად ვარსებობ.
* * *
ქვასროლია იყო და კენჭს კი იყრიდა.
* * *
ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად მრავალპარტიული არჩევნებით აირჩიეს პრეზიდენტი

და მან წესრიგი იმით დაამყარა, რომ აკრძალა ყველა პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია.
* * *
თუ წყალში თევზი უკვე აღარ არის, რა აზრს წყლის ამღვრევას?
* * *
მწერალს წიგნების წასაკითხავად არ ეცა და მის ნაცვლად მის წიგნებს არავინ კითხულობდა.
* * *
როდესაც ერთმანეთს ატყუებენ, არავინ იცის, თუ ვინ დარჩება ბოლოს მოტყუებული.
* * *
აპოლონ ბასილაძე